სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080121403966920

№ 289 23 / იანვარი / 2020 წ.

სსიპ „ქალაქ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 21 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „ქალაქ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ SMP200000232 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია, თელავის თეატრის მსახიობის ნინო კურტანიძის სახელობითი ვარსკვლავის ესკიზის დამზადების მომსახურების (CPV-92300000 - გასართობი მომსახურებები; 92312000 - სახელოვნებო მომსახურებები) შესყიდვა. ღირებულებით, 3500 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2020 წლის თებერვლის პირველ ნახევარში, ქალაქ თელავში, დაგეგმილია მსახიობ ნინო კურტანიძის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ღონისძიება. „აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხელოვნებასა და კულტურის დარგში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის ცნობილი ადამიანებისთვის შვიდქიმიანი ვარსკვლავის (ესკიზის) დამზადების ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია დავით ოქიტაშვილს („საქპატენტის“ №5472 მოწმობა), რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრამდე გადაეცა შპს „ფორევერ ჯორჯია ტურს“, რაც დასტურდება მომართვაში წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციით (2019 წლის 1 მარტის ხელშეკრულება). შესაბამისად ამ მომენტისათვის საქართველოში არ არსებობს ალტერნატიული მიმწოდებელი.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვებზე, შეაფასა მათში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვების განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც

მომართვაში წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციიდან („საქპატენტის“ № 5472 მოწმობა), ირკვევა, საქართველოში ხელოვნებასა და კულტურის დარგში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის ცნობილი ადამიანებისთვის შვიდქიმიანი ვარსკვლავის (ესკიზის) დამზადების ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია დავით ოქიტაშვილს, რომელმაც აღნიშნული უფლება 2019 წლის პირველი მარტის ხელშეკრულებით 2020 წლის 31 დეკემბრამდე გადასცა შპს „ფორევერ ჯორჯია ტურს“ შესაბამისად, წარმოადგენს ექსკლუზიურ მიმწოდებელს.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ „ქალაქ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ SMP200000232 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე